



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №31/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 20 თებერვლის №31 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 1 აპრილის №136/31-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 25 აპრილს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ 2019 წლის 4 თებერვალს მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ არაჯეროვნად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გაითვალისწინა სარჩელის სასამართლო განხილვის სტადია.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 3 აგვისტოს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ გარიგებების ბათილად ცნობის, მიუღებელი მოგების (შემოსავლის) და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2018 წლის 14 სექტემბრის განჩინებით --- შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის დამატებითი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა --- წარმომადგენლის განცხადება --- სასამართლოს 25.07.2018 წლის განჩინებით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ.

2018 წლის 11 დეკემბერს --- წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით --- წარმომადგენლის საჩივარი --- სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა --- სააპელაციო სასამართლოს.

2.2. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე განსახილველად იქნა მიღებული.

2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება; -- -- 2018 წლის 21 ნოემბრის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდა. 2019 წლის 4 თებერვალს სასამართლოდან გაიკა სააღსრულებო ფურცელი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. განჩინებების და გადაწყვეტილების მიღება ხდება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, ხოლო მისი შეფასება და კანონიერებაზე მსჯელობა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- №31 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი